საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10611/01
10/11/2020

10611-01-2-202011101653

მოქალაქე გელა გამტკიცულაშვილს

ბატონო გელა,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 22 ოქტომბრის N16665 განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყალსაცავის (ტბორის) ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტბორის წყლით მომარაგება ხდება მდინარე ლოპოტადან შემომავალი ღია არხით. განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული წყალმომარაგების სქემა მდ. ლოპოტადან თქვენს საკუთრებაში არსებულ ტბორამდე.
- განცხადების მიხედვით, ტბორიდან წყალი ტბორის გავლით კვლავ ბრუნდება ღია არხში სამხრეთის მხარეს, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ამ წყლის შემდგომი განკარგვის თაობაზე. მნიშვნელოვანია, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ჰყავს თუ არა სხვა მოსარგებლეები აღნიშნულ ღია არხს;
- განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მდ. ლოპოტადან აღებული წყლის მოცულობის შესახებ, კონკრეტული პერიოდების გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მდინარე ლოპოტას ჰიდრომეტრიული პარამეტრების შესახებ. მათ შორის, მდინარის მოცემულ მონაკვეთში წყლის ხარჯის საშუალოწლიური, მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლები, შიდაწლიური განაწილება;
- სკრინინგის განცხადებაში ასევე განხილული უნდა იქნეს ტბორების შევსების მიზნით ალტერნატიული წყალმომარაგების საკითხები (მაგ: წყალაღების წერტილის ცვლილება ან/და მიწისქვეშა წყლების გამოყენების შესაძლებლობა).
- გაცნობებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით დოკუმენტში მითითებული არხის სათავის მიმდებარედ განთავსებულია ჰიდროელექტროსადგურის (შპს ემ ჯი რენიუებლზის მფლობელობაში არსებული ლოპოტაჰესი) წყალმიმღები, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყალმომხმარებელია მდინარე ლოპოტას წყლის. აღნიშნული გარემოებისა და მდინარე ლოპოტას მცირეწყლიანობის

გათვალისწინებით მოცემული უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია მდინარე ლოპოტაზე სხვა წყალმომხმარებლების შესახებ მითითებული ჰიდროელექტროსადგურის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული სკრინინგის განცხადება.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე